



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბოტი ბუქ-
უჭი სიფყვას, ფუილიუბით და ჭბრბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯარბინბბაბუ უსამაგლუსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

სამშაბათი, 18 იანვარი, 2022 წ. №9 (9347) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

მოულოდნელი შირი

გაიტანეთ!



მიხეილ სააკაშვილი
2004-2013



**საკონტროლო
გასროლის
მისია
ავადყოფ
გვარამიას
დაეკისრება!!!**

საკაშვილისთვის პოლიტიკური სამარე მზადდება

საბოლოო წერტილი კი პარტიას ნიკა გვარამიამ დაუსვა, რომელმაც პირდაპირ პარტიის იმ ბირთვს დაარტყა, რომელზედაც „ენე“ ღვას. გვარამია პარტიის წარუმატებლობასა და კრახს მის რადიკალურ ფრთას, ე.წ. მიშისტებს აბრალებს.

ირაკლი კობახიძე:

**მმართველი
გუნდი ისავს
ეროვნულ
ინტერესებს!**



გუშინ, 16 იანვარს, ზუსტად ერთი წელი შესრულდა, რაც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის თანამდებობა დაეკავა, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე სოციალურ ქსელში წერს.


„ერთი წლისთავზე, გვაქვს კარგი შედეგები: დასრულდა ხელოვნური პოლიტიკური კრიზისი, დამაჯერებლად მოვიგეთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ უფრო გაიმყარა ლეგიტიმაცია; ქვეყანას ჰყავს ღირსეული პრემიერი, ღირსეული პარლამენტის თავმჯდომარე, ღირსეული დედაქალაქის მერი და მმართველი გუნდი ერთიანია, როგორც არასდროს; რადიკალური ოპოზიცია, რომლის ლიდერი დამსახურებულ სასჯელს იხდის, უკიდურესად დასუსტდა და აღარ აქვს შესაძლებლობა, საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს სიმტკიცეს; მმართველი გუნდი იცავს ეროვნულ ინტერესებს, სახელმწიფო და საპარლამენტო სუვერენიტეტს, მთავრობამ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა უზრუნველყო.

მიხარია, რომ ამ შედეგების დადგომაში პარტიის თავმჯდომარის პოზიციიდან ჩემი წვლილი შევიტანე“, — წერს ირაკლი კობახიძე.

ზურაბ ქაღაბიძე:

**ამბოხებულ მოსამართლეს
„ნაშრომობა“ ჰპირდება
ხელშეუხებლობას და
დანინაურობას უზენაეს
სამართლოში, ³
იმ მყოფებს კი — გაყრას**

ევროკავშირის ⁴ დატოვებით ბრიტანეთმა მოიგო თუ წააგო?



**მიტ რუმინი: კუტინს
საჭიოთა კავშირის
აღდგენის უფლება
არ უნდა მივცათ!**

გამოსხალა პერსონალურ მონახვეთა დახვის სამსახურის ხელმძღვანელთა შესარჩევი კონკურსი

საპარტიო პოლიტიკის პრემიერ-მინისტრის შესაბამისი ბრძანებით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელთა შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, კონკურსი გამოცხადდა „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 281 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 552 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის 17 იანვრის №5

და №6 ბრძანებების საფუძველზე.

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის კანდიდატების შერჩევა მოხდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ.

გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის პირობები (წარმოსადგენი დოკუმენტების სია, დოკუმენტების წარმოდგენის ვადები და ა.შ.) გამოქვეყნდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე, მას შემდეგ, რაც დაკომპლექტდება საკონკურსო კომისია, რომელიც გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის პირობებს განსაზღვრავს“.

საქართველოს მთავრობა 2022 წელს კონკრეტული საქმეებით იწყებს!

თბილისსა და გომიოში ფინანსური მინისტრის შეხვედრა

საერთაშორისო ფინანსური ზონები. ჩვენი ვარაუდით, მათი შექმნა და განვითარება ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, თანამედროვე ფინანსური, ტექნოლოგიური სიხსლუების გაზიარებას და ქვეყნის რეგიონულ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბებას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.



მთავრობის მეთაურმა ეკონომიკის მინისტრს დაავალა, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების პროცესს კოორდინაცია გაუწიოს.

„მოგესვენებთ, რამდენიმე თვის წინ მე გამოვთქვი ინიციატივა, რომელიც ეხებოდა ქვეყანაში ფინანსური ცენტრების შექმნის იდეას. ამის თაობაზე, ჩვენ გავაფორმეთ კონტრაქტი მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან კომპანიასთან, ფინანსურ ჯგუფ Rothschild & Co-თან და მივიღეთ გადაწყვეტილება. მინდა, ეკონომიკის მინისტრს დაავალო, გაუწიოს კოორდინაცია ამ პროცესს, მომზადდეს და წარედგინოს საქართველოს მთავრობას საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.“

საკითხი ეხება შემდეგ იდეას და ინიციატივას - ჩვენი სურვილია, შევქმნათ საქართველოში საერთაშორისო ფინანსური ზონები. ჩვენი ვარაუდით, მათი შექმნა და განვითარება ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, თანამედროვე ფინანსური, ტექნოლოგიური სიხსლუების გაზიარებას და ქვეყნის რეგიონულ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბებას. ეს უნდა იყოს ჩვენი საერთო საბოლოო მიზანი. გვაქვს ორი ფინანსური ცენტრის შექმნის იდეა - ერთი, რომ შეიქმნას თბილისის ფინანსური ცენტრი, რომელიც თბილისის ზღვასთან, სავარაუდოდ 10 კმ-ით მისი ფართობზე განთავსდება ჩვენი სურვილისამებრ და აღნიშნული ადგილი ქვეყნისა და რეგიონის გამორჩეული საქმიანი ცენტრი გახდება. ანალოგიური ცენტრის ჩამოყალიბება იგეგმება აჭარაში, გონიოს ტერიტორიაზე. გონიოში ჩვენ უფრო მულტიფუნქციური ცენტრის შექმნას გვგეგმავთ. ამის თაობაზე დავინფორმირებთ მთავრობას და აქვე გვინდა შევქმნათ ფინანსური ცენტრი. სპეციალური ფინანსური ზონები საერთაშორისო კომპანიებს შესთავაზებენ საერთო სამართლის პრინციპებზე დაფუძნებულ სამართლებრივ რეჟიმს, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებულ ლიბერალურ რეგულატორულ და ფისკალურ რეჟიმებს. რაც მთავარია, ფინანსურ ზონებში მოქმედი საერთაშორისო კომპანიების პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს მოქალაქეები იქნებიან, რაც მათ განსაკუთრებული პროფესიული და კარიერული განვითარების საშუალებას მისცემს, - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ თბილისისა და გონიოს ფინანსური ცენტრების შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ მაღალი საერთაშორისო რეპუტაციისა და გამოცდილების მქონე კომპანიები, როგორც არის მთავრობის მრჩეველი კომპანია Rothschild. მისივე თქმით, კომპანიის დელეგაცია ქვეყანას ერთ კვირაში ეწვევა და დაინყება აქტიური მუშაობა.

„ჩვენი გათვლებით, სპეციალური ფინანსური ზონების შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც განვითარებული საფინანსო ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყნის, პოპულარიზებას რეგიონსა და მსოფლიოში და საქართველო გახდება, ეს ჩვენი მიზანია, რეგიონული ფინანსური ცენტრი. ფინანსური ზონები ორიენტირებული იქნება ისეთ საერთაშორისო ფინანსურ კომპანიებზე, რომლებიც ოპერირებენ აქტივების მართვის, ფინტექის, სასაქონლო ტრეიდიგის, კაპიტალის მართვის და სხვა დარგებში, და საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ჩვენი ვარაუდით, რომ აღნიშნული ფინანსური ცენტრების ამოქმედება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კაპიტალის ბაზრის განვითარებას, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, - აღნიშნა ირაკლი ლარიაშვილმა.“

2021 წელს საქართველოდან მსოფლიოს 62 ქვეყანაში ექსპორტირებულია 107 მილიონი ბოთლი ღვინო! დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ასეთი მაჩვენებელი არასოდეს ყოფილა

„მიწებ, რამდენიმე შედარებით მაგალითი მოვიყვანო - 2012 წელს შედარებით ღვინის ექსპორტი 360 ბოთლიცაა არის გაზრდილი. ასევე 2012 წელს, ექსპორტით მიღებული შემოსავალი თუ იყო 71 მილიონი დოლარი, შარშან იყო 250 მილიონი ამერიკული დოლარი. ამხელა სხვაობაა ამ 8-9 წელიწადში, რაც რეკორდული მაჩვენებელია. ასევე, საანგარიშო პერიოდში, ექსპორტირებულია 42 მილიონი ბოთლი ღვინო, რაც 30%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და 550%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 78 მილიონ დოლარს შეადგენს. შედარებისთვის, 2012 წელს ეს იყო მხოლოდ 20 მილიონი დოლარი, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.“

მთავრობის მეთაურის თქმით, 441 ქართული კომპანია ახორციელებს ღვინის ექსპორტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. 2012 წელს ექსპორტს მხოლოდ 100 კომპანია აწარმოებდა. „მოგესვენებთ, ძალიან ბევრი კომპანია დაემატა და 441 ქართული კომპანია ახორციელებს ღვინის ექსპორტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. შედარებისთვის, 2012 წელს სულ იყო 100 ექსპორტიორი კომპანია.“

„ჯამურად, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდ სპირტი-სა და ჩამოსასხმელი ღვინის ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 400 მილიონ დოლარამდე შემოსავალი, რაც 18%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან და 142%-ით მეტია 2012 წელს შედარებით, მაშინ იყო 163 მილიონი დოლარი. ეს არის რეალური განსხვავება, რაც ჩვენი მთავრობის ძალისხმევით იქნა მიღწეული და ასევე „ქართული ოცნების“ მიერ 2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩვენ მიერ დაწყებული გონივრული პოლიტიკით...“

ინტერვიუს მთელი წლის განმავლობაში, მილიონამდე მოქალაქე ელექტრონული ტარის ნაზარდი დაუსუბსიდირდება.

იაფი მელიქაშვიტის თურქეთიდან შემოვლა

თურქეთის ბაზარი უკვე გაიხსნა და თურქეთიდან შემოვლა მაღალი ხარისხის, გრა-სტანდარტების შესაბამისი მედიკამენტები, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, ფასებს შორის სხვაობა საგრძობად დიდია.

„დაპირებისამებრ, ჩვენ დღეს ხელი მოვანერეთ მთავრობის განკარგულებას. შესაბამისად, უკვე გაიხსნა თურქეთის ბაზარი და თურქეთიდან შემოვლა მაღალი ხარისხის, გრა-სტანდარტების შესაბამისი მედიკამენტები. მოგესვენებთ, ამის თაობაზე ღია ვისაუბრებ. საგრძობად დიდია სხვაობა ფასებს შორის. ყველაზე მოთხოვნადი წამლები ჩვენთან თუ ღირს ბიოგენითადა, 10 ლარი, თურქეთში ღირს ლარი და ორი ლარი. ამიტომ, არავითარი არგუმენტი იმისა, რატომ არ უნდა ყოფილიყო გახსნილი თურქეთის ბაზარი, არ არსებობს, ვერ მოვისმინე. ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თურქეთის ბაზარი გაგვეხსნა. ეს ძალიან შევიდა დღევანდელ და იმედი მაქვს, იმპორტიორი კომპანიები შემოიტანენ მაღალი ხარისხის წამლებს თურქეთიდან, რაც მნიშვნელოვნად, ძალიან სწრაფად გააიფხვებს მედიკამენტების ფასებს საქართველოში, - აღნიშნა ირაკლი ლარიაშვილმა. ამასთან, პრემიერმა განაცხადა, რომ კონკურენციის სააგენტომ დაასრულა მუშაობა ფარმაცევტული ბაზრის კვლევაზე და შესაბამისი რეკომენდაციები გაეზარდნა როგორც მთავრობას, ისე პარლამენტს.“

„დაპირებისამებრ, კონკურენციის სააგენტომ დაასრულა მუშაობა ფარმაცევტული ბაზრის კვლევაზე. ჩაუტარდა მონიტორინგი, შესაბამისი რეკომენდაციები უკვე გაეგზავნა პარლამენტს, მთავრობას. ახლა მინდა, ვთხოვო ჯანდაცვის მინისტრს, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, ვთხოვს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის წარმომადგენლებს, რომ ერთობლივად დავინყვოთ მუშაობა, რადგან საჭირო იქნება რიგ კანონებში ცვლილებების განხორციელება. ჩვენი მოლოდინით, ეს კიდევ უფრო დაეხმარება, უფრო გააიფხვებს მედიკამენტებს. რაც მთავარია, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ერთი მხრივ, მედიკამენტებზე ფასების მონიტორინგი, რეგულირება არ ვიტყვოდი ამ ეტაპზე, და მეორე მხრივ, ხარისხის კონტროლი, რაც აუცილებელია. ხარისხისანი მედიკამენტები უნდა მიწოდდეს ჩვენს მოსახლეობას, ეს არის ჩვენი ნომერ პირველი მოთხოვნა. ჩვენ ახლა დავინყვებთ აქტიურად მუშაობას. ბატონი მინისტრი, აზარაშვილი დაინყვებს მუშაობას ამ თემაზე და უახლოეს რამდენიმე კვირაში გვექნება შედეგები, - დასძინა ირაკლი ლარიაშვილმა.“



საქალაქო სასამართლომ პენიტენციური სამსახურის სარჩელი დააკმაყოფილა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პენიტენციური სამსახურის სარჩელი და სახელმწიფო ინსპექტორის მიერ დაკისრებული სანქცია გააუქმა. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიდეოკადრების გავრცელებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორმა პენიტენციური სამსახური სამართალდამრღვევად ცნო და ჯარიმა დააკისრა. ეს გადაწყვეტილება კი, პენიტენციურმა სამსახურმა სასამართლოში გაასაჩივრა. შესაბამისად, სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილება გაუქმებულია. „სასამართლომ დაადგინა, რომ გაუქმდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, როდესაც პენიტენციური სამსახური ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად პერსონალურ მონაცემთა კანონის გათვალისწინებით. გაუქმდეს 2 000-ლარიანი ჯარიმა, - განაცხადა მოსამართლე კობა ჩაგუნავამ.“

ირაკლი ლეჟინაძე: რა სპირიტს ფარმაცევტულ ბზარს?



მიგმაჩნია, რომ დღეს ძვირადღირებული წამლის ჭარბი მოხმარების ერთ-ერთი მიზეზი არის არაკეთილსინდისიერი მარკეტინგის ფაქტები გარკვეულ მცირე იმპორტიორებსა და რეცეპტისა და დანიშნულების გამოწერ პირებს შორის, - ამის შესახებ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, ირაკლი ლეჟინაძე განაცხადა. მისი თქმით, რეალურად, სწორედ ეს აძვირებს ბაზარს. მისივე თქმით, თურქეთის ბაზრის გახსნის მიზანი მოსახლეობისთვის შედარებით იაფფასიან და ხარისხიან მედიკამენტებზე წვდომას გაზრდის.

სოსაგენტოს ურომის ანაზღაურება თიბერკლიდან გაიზარდა

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შემუშავებული სტრუქტურული და ორგანიზაციული განვითარების გეგმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით, სოციალური აგენტების და სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლების ხელფასები თებერვლიდან გაიზარდა. ინფორმაციას სოციალური მომსახურების სააგენტო ავრცელებს. „განმარტავთ, რომ სოციალური აგენტის ხელფასი ორი კომპონენტისგან შედგება - ფიქსირებული და გამომწევი. თებერვლიდან ანაზღაურება 60%-მდე იზარდება. კერძოდ, 250 ლარის ნაცვლად 400 ლარი გახდება, უფროსი სოციალური აგენტის კი - 550 ლარის ნაცვლად 700 ლარი. ასევე, ოჯახში შესრულებული ვიზიტების ფარგლებში, ერთ შევსებულ დეკლარაციაზე სოციალური აგენტები 6 ლარის ნაცვლად 10 ლარს მიიღებენ. ასევე, სოციალური მომსახურების სააგენტოს დაბალი და საშუალო რგოლის 1 000-მდე თანამშრომელს შრომის ანაზღაურება 40%-დან 60%-მდე გაზრდება. სოციალური მომსახურების სააგენტოს პრიორიტეტი მოსახლეობისთვის სოციალური სერვისების შეუფერხებლად მიწოდებაა. ამ მიზნით გრძელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს სერვისების ხარისხის გაუმჯობესებზე მუშაობა, როგორც ორგანიზაციული, ასევე სტრუქტურული ცვლილებების კუთხით, - ნათქვამია განცხადებაში.“

პოლიტიკურ ჩიხში შესული „ნაციონალური მოძრაობა“ გამოსავლის ძიებაშია. ქუჩის აქციების და სააკაშვილის ქვეყანაში დაბრუნებით განხილული იმედების და არშემდგარი რევოლუციის შემდეგ, პარტიაში რეორგანიზაცია დაიწყო, თუმცა ძველი სახეების სრულიად ახალ თანამდებობებზე დანიშნაობა გაკვირვება თავად პარტიის მხარდამჭერებს შორის გამოიწვია. ენმ-ში რეორგანიზაციის მიუხედავად დაპირისპირება არ ცხრება. „მთავარი არხის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ პარტიის რადიკალურ ფრთას ე.წ. მიშისტებს თავს ესხმის და აცხადებს, რომ სწორედ ამ კატეგორიის მხარდამჭერები აზიანებენ სააკაშვილს.

„არსებობს ე.წ. მიშისტების ერთი კატეგორია, რომლებიც მუდმივად უკმაყოფილონი არიან და ვისაც ყველა და ყველაფერი სძულს და ამ სიძულვილს „მიშას ინტერესებით“ სხიან. ფაქტობრივად, მიშას სახელით აგრძელებენ სიძულვილს და აგრესიას. ჯერ ერთი, მიშას სახელით საუბარი, თვითმარქვიობა და მეორე, არავინ ისე არ აზიანებს სააკაშვილს, როგორც ეგ ხალხი“, წერს – ნიკა გვარამია.

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ კი ამბობენ, რომ პარტიულ განახლებაზე მუშაობა გრძელდება. სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც პოლიტსაბჭოს თავმჯდომარედ მონა ნაყთვია, ხოლო გენერალურ მდივნად პეტრე ცისკარიშვილი დასახელდნენ. პარტიაში ახალი სამდივნო ყალიბდება, რომელიც 12 დამაინისგან იქნება დაკომპლექტებული. თუ ვინ იქნებიან ახალი სამდივნოს წევრები, მომდევნო კვირაში გახდება ცნობილი.

ცვლილებებთან დაკავშირებით პეტრე ცისკარიშვილი აღნიშნავს, რომ ახალი სამდივნო მორგებული იქნება იმ გამოსწორებებზე, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას.

ანალიტიკოსი დავით ძარბაზიშვილი მიიჩნევს, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ მოვლენები მას შემდეგ ვითარდება, რაც ქვეყანაში მიხეილ სააკაშვილის ბიძა თიმურ ალასანიამ ჩამოვიდა. ქართველი შვილი ფიქრობს, რომ ალასანიამ პარტიის მექანიზმში გარკვევა სცადა და ამიტომაც სათავეში მისთვის ყველაზე სანდო ფიგურა და სავარაუდოდ, რუსეთისთვისაც მისაღები კანდიდატურა კობა ნაყთვია დასახელდა.

„კობა ნაყთვია პარტიაში ხელისუფლებას შექმნილ პოსტზე დანიშნეს, ეს თანამდებობა აქამდე ენმ-ში არავის ეკავა. ეს კი მხოლოდ ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა – რუსეთის სხეცსამსახურების გავლენიანმა აგენტმა თემურ ალასანიამ პარტიაში თავისთვის ყველაზე სანდო ფიგურა დატოვა. როგორც ჩანს, ის პარტიაში არავის აღარ ენდობა. მელიას და მისი აგენტის ფლანგის ნელ-ნელა შესუსტება ხდება. „ფე-ეს-ბე“-ს პირში ნაყთვია კი „ნაციონალურ მოძრაობას“ გადამრჩენად ჩაუყენეს, რასაც უკვე აზრი არ აქვს.

ენმ-ის დე-ფაქტო თავმჯდომარემ სამი დღის წინ გამოქვეყნებულ ინტერვიუში თქვა, რომ 20 წლის განმავლობაში მთელი რიგი პარტიასთან დაკავშირებული დეტალები არ ყოფილა ორგანიზებული და აღიარა, რომ ეს პარტია კი არა ჩვე-



ულებრივი სექტის წევრები არიან. საბოლოო წერტილი კი პარტიას ნიკა გვარამიამ დაუსვა, რომელმაც პირდაპირ პარტიის იმ ბირთვის დაარტყა, რომელზედაც „ენმ“ დგას. გვარამია პარტიის წარუმატებლობასა და კრახს მის რადიკალურ ფრთას, ე.წ. მიშისტებს აბრალებს. ეს კი, რა თქმა უნდა, პარტიაში დაპირისპირებას კიდევ უფრო გაამწვავებს“, – ამბობს ქართველი შვილი.

მისივე თქმით, ნიკა გვარამიამ პარტიას ამ განცხადებით საკონტროლო გასროლა გაუკეთა. ქართველი შვილი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი გვარამიას მხრიდან დასავლეთის მხარდაჭერის შენარჩუნებაა.

„გვარამიას ამ განცხადებამ პარტიაში ფაქტობრივად ბომბი ააფეთქა. ამის მიზეზი კი პარტიის საბოლოოდ ჩიხში შესვლა გახდა. იმ ფანატიკოსებზე დაგრძნობით პოლიტიკური პარტიის სვალინდელი დღის პერსპექტივას დასავლეთში ვეღარ ხედავენ. ყველა კარგად მიხვდა, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას „ნაციონალურ მოძრაობის“ პროდასავლურად მიჩნეული პარტიის გადარჩენის ერთადერთი გამოსავალი ისაა რომ როგორმე ამ ფანატიკოსების გავლენისგან გათავისუფლდნენ. პარლამენტის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება უნდა დაიწყო. საქმე უნდა გააკეთონ, რადგან ქვეყანაში იყო ამ ყველაფერმა კი არანაირი მუსტი საზოგადოებაში არ შექმნა, შედეგი არ მოიტანა. ახლა სამ თვეში კიდევ რა შეიძლება მოხდეს? სააკაშვილის მოწოდებებს და პარტიაში ძველი სახეების გადაადგილებას აღარანაირი პოლიტიკური გათვლა არ აქვს. იგივე წრეზე და იგივე შეცდომების გამეორება სიტუაციას კიდევ უფრო გაართულებს“, – ამბობს ქართველი შვილი.

საკაშვილისთვის პოლიტიკური სამარე მზადდება

საკონტროლო

გასროლის მისია აკადემიურ ბვარამიას დაეკისრება!!!



ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე კი ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის ეფექტი უკვე დასრულდა. ანალიტიკოსი ამბობს, რომ სააკაშვილის დაბრუნებამ ამომრჩევლის რაოდენობა ადგილობრივი არჩევნებისთვის გაზარდა. თუმცა აქაც საკითხავი ის არის უფრო აქტიური ვისი ამომრჩეველი იყო. მისი აზრით, პარტიაში ძველი სახეების გადაადგილებით რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

„სხვა შედეგი სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებას არ მოუტანია. მან ვერ შეძლო ქუჩის პროტესტის აგორება. სააკაშვილმა 50-დღიანი შიმშილობით და რადიკალური განცხადებებით ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო. მას მეტი არავინ შეუძლია. ეს მისი მაქსიმუმი იყო. ამ ყველაფერმა კი არანაირი მუსტი საზოგადოებაში არ შექმნა, შედეგი არ მოიტანა. ახლა სამ თვეში კიდევ რა შეიძლება მოხდეს? სააკაშვილის მოწოდებებს და პარტიაში ძველი სახეების გადაადგილებას აღარანაირი პოლიტიკური გათვლა არ აქვს. იგივე წრეზე და იგივე შეცდომების გამეორება სიტუაციას კიდევ უფრო გაართულებს“, – ამბობს ძაბირაძე.

მისივე თქმით, ხელისუფლება ბოლო დროს ტაქტიკურად მათზე ბევრად ჭკვიანურად იქცევა და საკმაოდ სწორი გათვლები აქვს. ამის მაგალითად კი ძაბირაძეს ხაზარაძე, ჯაფარიძე და წერეთლის საქმე მოჰყავს. ის ფიქრობს, რომ ხელისუფლების გადანაცვლება ეს ტრიო არ დაეკავებინა, სწორია, რადგანაც აუტკივარი თავის ატკივბა არ უნდოდა. მართალია, ამას ქვეყნის შიგნით დიდი პროტესტი არ მოჰყვებოდა, მაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე ხელისუფლებამ პრობლემები დამატებით აღარ შეიქმნა.

„რაც შეეხება გვარამიას განცხადებას პარტიის და მხარდამჭერების რადიკალური ფრთის შესახებ, ერთის მხრივ რომ შეგხედოთ, ის სიმართლეს ამბობს, მაგრამ მეორე მხრივ ეს რადიკალიზმი ვისგან მოდის? მათ რომ თავად პარტიის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი კვებავთ? „ნაციონალურ“ მხარდამჭერები სწორედ ამ რადიკალურად განწყობილი ლიდერის განცხადებების მეშვეობით ჰყავს. ბელადომანია, რომელიც პარტიას სჭირს, ვერ შეიცვლება. როგორც ჩანს, პარტიის შიგნით გამოსავალს ეძებენ, მაგრამ თავად პარტიის ლიდერს რას უპირებენ, გაუგებარია...“

ლიკა ბერიკაშვილი

ამირან სულჟაძე: ხაზარაძემ პირდაპირ ეთერში რა უნდა თქვას ისეთი, რას სასამართლოში ვერ თქვა?!

...მინც რას იტყვის, ბანკის „გადასარჩენად“ 17 მილიონის მითვისება იყო აუცილებელი?

წინა პოსტში დაგწერე ყველაფერი. „იმედის“ სიუჟეტშიც გასაგებად ითქვა:

- ბანკმა ასესხა ბიზნესმენს 17 მლნ კონკრეტული პირობებით და უზრუნველყოფით;
- ბიზნესმენმა იგივე თანხა, კონკრეტული პროცენტით და იპოთეკის უზრუნველყოფით, ასესხა ბანკის მმართველებს;
- შემდეგ ეს ფული ქრება, პასუხისმგებლობას ოფშორულ კომპანია იბარებს, შემდეგ ეს კომპანიაც ქრება;
- ბიზნესმენს ბანკის მმართველებისგან თანხა არ მიუღია, არც მოუთხოვია, არც იპოთეკის აღსრულება მომხდარა;
- ბანკს ბიზნესმენისგან ვალი არ მიუღია, არც უზრუნველყოფა მოუთხოვია, უიმედოდ ჩათვალა და ვალი ჩამოაწერა;
- იმავე ბიზნესმენს 17 მილიონის ჩამონწერის მიუხედავად, კიდევ რამდენიმე სესხი მისცა.

აი, ესაა მოკლე ანატომია. ასე იყო თუ არა, შემდეგ ინსტანციაში უნდა ამტკიცონ. ნებისმიერ მედიას სრული უფლება აქვს სასამართლო განჩინების საფუძველზე, მოქმედ პირთა, ანუ დამნაშავეთა ინტერვიუების გარეშე სიუჟეტი გააკეთოს.

რაც შეეხება ბადერი ჯაფარიძის კომენტარს, თითქოს გათვრეობაში სასამართლომ გაამართლა და თაღლითობა ახალი ბრალდებაა, ეს არაა ახალი ბრალდება, ესაა სასამართლოს განაჩენი, რომლის შემდეგ მათი პოლიტიკაში ყოფნის საკითხი ავტომატურად უნდა დადგეს, სანამ თავს არ გამოამართლებენ. ჯაფარიძის შემთხვევაში კი დეპუტატის მანდატის საკითხიც დადგება. მათ შეუძლიათ, თუ წერეთლის ტყ არ აძლევს პირდაპირ ეთერს, ფეისბუქით პირდაპირი ეთერი გააკეთონ და გაგვიქარწყლონ ეს კითხვები. საიმოვნებით მოვისმენ უბრალოდ, ბანკის კლიენტისგან ბანკის მმართველის ან სხვა თანამშრომლის მხრიდან ფულის უკან სესხება არ მოსულა. ფულიც თუ გაქრა, ეს სომ ამომივებს თემას!...

უზრუნველყოფა: ამგონებულ მოსამართლებს „ნაწმობა“ კვირდება ხელშეუხებლობას და დანიშნულებას უზენაეს სასამართლოში, იმ მყოფებს კი – ბაყრას

„ამგონებულ მოსამართლებს „ნაც. მოძრაობა“ პირდაპირ ხელშეუხებლობას და დანიშნულებას უზენაეს სასამართლოში, იქ მყოფების კი – გაყრას და ქეთევან მესხიშვილს საერთოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობასაც, რომ მათ როგორმე მოახერხონ შიგნითან სასამართლო სისტემის „არევა“ და მის პოლიტიკურ ქაოსში ჩათრევა, რასაც ოპოზიცია უკვე „სარევიანად“ გამოიყენებს ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ საერთაშორისო პლატფორმაზე იმის საჩვენებლად, „თურმე რა ამბები ხდება“ სასამართლოში, რაც საბოლოოდ მთელი სისტემის და მისი ნდობის მძიმე დისკრედიტაციას მოახდენს.“

„უბრალოდ მე არ მესმის, იმაზე გაგულისხმებულმა, რომ პარლამენტმა არ აგირჩია უმაღლესი ინსტანციის მოსამართლედ, ყველაფერს საზოგადოებას, წახვიდე გაორგებაზე უბინძურეს პოლიტიკურ ძალასთან „ნაც. მოძრაობასთან“, რომელმაც შე-

ლისუფლებაში ყოფნის პირობებში ასე უფლობით შენი კოლეგა გაყარა, დევნა, ღირსება შეუღალა და ახლაც შენთან კოორდინაციაში, ისევე იგივე გზას ადგას, „შავ სიებს“, რეპრესიებს აანონსებს და ამბზე ფორმალურად მაინც ხმას არ იღებ, უკვე ცხადია, მინიმუმ თანამონაწილე ხარ ამ ყველაფრის. მაშინ სად იყავით ეს „ამბობს“ უფლები მოსამართლეები“, როდესაც წინა ხელისუფლება მართლაც სასტიკ კანონებს იღებდა, თქვენს კოლეგებს სახლში ყრიდა, საქმეებს უღერებდა და ატერორებდა, დარჩენილებს კი „ნოტარიუსებად“ გამოუშვებდათ, მაშინ რატომ არ იღებდით ხმას? რატომ არ უპირისპირდებოდით მართლაც საშინელ სისტემას? რატომ არ აგრძელებდით საჯარო საპროტესტო წერილებს? რატომ არ ასაჩივრებდით საკონსტიტუციო სასამართლოში იმდროინდელ რეპრესიულ კანონებს? და ა.შ.“ – წერს უზრუნველყოფა.

ვინ გამოდგა მართალი?!

გუსტავ ერტი წლის წინ დიდა ბრიტანეთმა ევროკავშირიდან გასვლის შედეგად ღამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. BREXIT-ის იდეოლოგია იერს თავისუფლებასა და კეთილდღეობას ჰპირდებოდა, თუმცა ნენტიანი პი მოქალაქეებს ეკონომიკური კრიზისითა და სავაჭრო სისტემის დაზიანებით აწინააღმდეგებდა. ვინ აღმოჩნდა მართალი? ამ კითხვასაც პასუხები BBC-მ მოიპოვა.

ევროკავშირის დატოვებით ბრიტანეთმა მოიგო თუ ნაკარგო?

დათანხმდებოდა. თუმცა ბორის ჯონსონს განსხვავებული აზრი აღმოაჩნდა. ის ქვეყნის შიგნით საზღვრის გაყვანას დათანხმდა და ევროკავშირთან შეთანხმებას ამ პირობებით მოაწერა ხელი. მან ეს დოკუმენტი წარადგინა როგორც გარდაცვალება, ამით მოიგო არჩევნები და გამოაცხადა, რომ Brexit-ი წარმატებით დასრულდა. თუმცა მალე გაირკვა, რომ ევროკავშირი არ ხუმრობდა. ჯონსონის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება დიდ ბრიტანეთში საქონლის განაღდებას მოითხოვდა. ეს პრემიერის დაპირებას ეწინააღმდეგებოდა, რადგან ის ამბობდა, რომ რაიმე სახის შემოწმება

არასდროს იქნებოდა. ამ ყველაფრის შედეგად არის ხანგრძლივი დაპირისპირება ევროკავშირთან, ხელახალი მოლაპარაკებების მცდელობა ახლახან ხელმოწერილ შეთანხმებაზე, მთავარი მომლაპარაკებლის, დევიდ ფრისტის დეზერტირობა და მიმდინარე დიალოგში ნაწილობრივი დაწევა. ამავდროულად, ირლანდიელებს, შოტლანდიელებს მსგავსად, სულ უფრო მეტად სურთ ინგლისისგან გამოყოფა. ბოლო გამოკითხვების მიხედვით, ჩრდილოეთ ირლანდიაში 67% თვლის, რომ Brexit-მა კუნძულის გაერთიანება მოახლოვა, 53% კი მიიჩნევს, რომ რეფერენდუმი ამის შესახებ უახლოეს 10 წელიწადში გაიმართება. ირლანდიის ევროპულ, სამხრეთ ნაწილში 62% ჩრდილოეთ ირლანდიასთან გაერთიანებას მხარს უჭერს.

და რა მოხდება მომავალში?

Brexit-ის ეკონომიკურმა შედეგებმა გამოვლენა ახლახან დაიწყო. მომავალ წელს ვაჭრობაში ახალი ბარიერები გაჩნდება, რაც ბრიტანული ბიზნესისა და მოსახლეობის შემოსავალს აუცილებლად შეამცირებს. „გავიდა ერთი წელი და Brexit-დან მიღებული ზარალი ბრიტანეთის ეკონომიკისთვის სულ უფრო აშკარა ხდება,“ – წერს ანანდ მენონი, კვლევითი ცენტრის – The UK in a Changing Europe-ის ხელმძღვანელი და ამსაკითხის ერთ-ერთი მთავარი ექსპერტი.

ჯონსონის განცხადებების სანინალმდეგოდ, Brexit-ის ბევრი დეტალი, ისევე როგორც ზარალისა თუ მოგების საბოლოო მაჩვენებელი, ჯერ კიდევ ცხადი არ არის. ნაწილობრივ, ეს სურათი ბუნდოვანია Covid-



ში ცხოვრება. მათ სამ თვეში უნდა იპოვონ სამსახური და არა ნებისმიერი, არამედ – მაღალანაზღაურებადი. მიუხედავად იმისა, რომ Brexit-მა გაზარდა არალეგალური მიგრანტების რიცხვი, რომლებიც ლა მანშის სრულტეს რეზინის ნაგებით კვეთენ, მიმდგრებში მოსავალი ღებება და სატვირთო მანქანების მძღოლების დეფიციტია, Brexit-ის მომხრეთა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა დამკვეთილებზე უფრო მაღალი საზღვარი იქნება.

თუმცა აქ არის ორი პრობლემა. პირველი რიგში, საჭირო ხდება გამონაკლისის დაშვება. ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურა დათანხმდა დროებითი ვიზების გაცემას, რადგან გაირკვა, რომ არავინ იყო, ვინც ღორებს დაკლავდა, ქათმებს დაახარისხებდა და მაღალი ღირებულების საქონელს სატვირთო მანქანით გაანაწილებდა. ათწლეულების განმავლობაში პირველად, საჭირო მუშახელის არყოლის გამო, ბრიტანეთმა ვერ შეძლო საშობაოდ გაეზარდა და დაეკლა ადგილობრივი წარმოების ინდუსტრია. ის პოლონეთიდან და საფრანგეთიდან შეიტანეს.

თუმცა ისიც გაირკვა, რომ დიდი ბრიტანეთიდან „განდევნილი“ ევროპელები დაბრუნებას დიდად არ ჩქარობდნენ. მათ აქვთ საკმარისი სამუშაო კონტინენტზე, ანაზღაურებაც ნორმალურია და ნაკლები დოკუმენტაცია საჭირო. შედეგად, მეფრინველეობის სფეროში დაშვებულ 5000 დროებით ვიზაზე მოთხოვნა ორჯერ ნაკლები იყო, მძღოლის 5000 ვიზაზე კი მხოლოდ რამდენიმე ასეული განმცხადებელი გამოვლინდა.

მეორე პრობლემა არის ევროკავშირის პასუხი. ბრიტანელები არა მარტო იცავდნენ თავიანთ ბაზარს ემიგრანტებისგან, არამედ თავდაცვლილად ჩამოერთვათ გადაადგილების თავისუფლება და მუშაობის უფლება სადაც მოესურვებოდათ – ევროკავშირის 27 ქვეყანაში.

ლანდიაში Brexit-მა ცენტრიდანული ძალები გააძლიერა. ბორის ჯონსონი ხელისუფლებაში მოვიდა რეფერენდუმიდან სამი წლის შემდეგ დაპირებით, რომ ევროკავშირთან „განქორწინების“ პირობებზე საბოლოო მოლაპარაკებებს დაიწყებდა. მისმა წინამორბედმა ტერეზა მეიმ ეს დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოახერხა, რადგან არ იცოდა, როგორ გადაეჭრა მთავარი საკითხი – ირლანდია.

ფაქტია, რომ კუნძულის ნაწილი – ჩრდილოეთ ირლანდია – გაერთიანებული სამეფოს ნაწილია. იქ დიდი ხნის განმავლობაში იყო მღელვარება და შეთანხმება, რომელმაც სისხლისღვრა დაასრულა, ითვალისწინებს



საზღვრის არქონას ირლანდიასთან, რომელიც ევროკავშირის წევრია. სანამ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის წევრი იყო, არანაირი პრობლემა არ ყოფილა. Brexit-მა კი დააბრუნა საზღვარი და ერთადერთი კითხვა იყო, თუ სად აღმოჩნდებოდა ის. იმისათვის, რომ კუნძულზე ბარიერები არ შექმნილიყო, საჭირო იყო ან მთელი დიდი ბრიტანეთის დატოვება საბაჟო კავშირში, ან საზღვაო საბაჟო საზღვრის გაყვანა ჩრდილოეთ ირლანდიასა და დანარჩენ დიდ ბრიტანეთს შორის არსებულ ზღვაზე.

ტერეზა მეიმ პირველი ვარიანტი უარყო, რადგან ის Brexit-ის სულისკვეთებას ეწინააღმდეგებოდა. ის არც მეორე ვერსიას დათანხმდა იმიტომ, რომ ეს გულისხმობს საზღვრების გაკლებას თავად ქვეყნის შიგნით. ის დარწმუნებული იყო, რომ ამას დიდი ბრიტანეთის არცერთი პრემიერ-მინისტრი არ

19-ის გამო, გარკვეულწილად კი მრავალი საბაჟო შეზღუდვის გასაგრძელებლის შედეგია. თუმცა ეს მაინც დროებითია. „ბანდების გაკლება შედარებით სწრაფად გაქრება, Brexit-ის გაკლება კი – არა. ზოგიერთ სფეროში, როგორცაა ვაჭრობა და მიგრაცია, დროთა განმავლობაში სიტუაცია, მხოლოდ და მხოლოდ, გაუარესდება“, – გვეფრთხილებენ The UK in a Changing Europe-ის ეკონომისტები.

ბორის ჯონსონმა თავისი პარტია 2019 წლის არჩევნებში დიდ გამარჯვებამდე მიიყვანა დაპირებით, რომ დასრულდებოდა Brexit-ს – „Get Brexit Done“.

„Brexit-ი დასრულებისგან შორს არის“, – ამბობს ბრიტანეთის ღამოუკიდებელი ერთწლიანი ცოვრის შედეგების შეფასებისას ანანდ მენონი. მისი განცხადებით, ყველაზე საინტერესო პირი წინაა...

დიდი ბრიტანეთში სურსათის ღირებულება?

Brexit-ის შემდეგ, ბრიტანეთს ყველაზე მოულოდნელი პროდუქციის დეფიციტი შეექმნა. სუპერმარკეტებიდან პერსონალურად ქრება ხან მინერალური წყალი, ხან ყველი, ხან რა და ხან რა. არ არის საკმარისი რაოდენობით სამშენებლო მასალები და სათადარიგო ნაწილები. შრომის ბაზარზეც რთული სიტუაციაა: მზარდულების, ოფიციალტებისა და მინდვრის სეზონური მუშების დეფიციტია.

ეს გასაკვირი არც არის. 2021 წლის 1 იანვარს, ბრიტანეთმა ერთიანი ევროპული ბაზარი დატოვა. შესაბამისად, ამა თუ იმ პროდუქციის, მომსახურებისა და სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების მიმართულებით წარმოიქმნა ბარიერები, რომლებიც აქამდე არ არსებობდა. ამ ყველაფერმა შეარყია ვაჭრობა და ეკონომიკა, რადგან Brexit-მდე დიდი ბრიტანეთი ამ ყველაფერს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იღებდა. მაგალითად, ბრიტანეთში სურსათის ნახევარი იმპორტირებულია, ევროკავშირის დატოვებამდე კი იმპორტის 60% სწორედ ევროპიდან შედიოდა. ეს მხოლოდ ერთ სფეროს არ ეხება. ზოგადად, Brexit-ის მომენტისთვის ევროკავშირი დიდი ბრიტანეთისთვის მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო და სწორედ მასზე მოდიოდა იმპორტის 53% და ექსპორტის 44%.

ბრიტანეთში ბაზარი რა ვითარებაშია?

შეიძლება ითქვას, რომ Brexit-მა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა დაანგრია. ამას ოფიციალური ანალიტიკოსებიც კი ეთანხმებიან. Office for Budget Responsibility-ის სამთავრობო ექსპერტების აზრით, საშუალოვადიან პერსპექტივაში ბრიტანეთი ეკონომიკური ზრდის დაახლოებით 4%-ს გამოტოვებს. არასამთავრობო ორგანიზაციების პროგნოზები კიდევ უფრო პირობითურია: მინუს 6-7%. ნაცია იმედოვნებს, მაგრამ არა ისე სწრაფად, როგორც შეეძლო. ამას ორი ძირითადი მიზეზი აქვს.

პირველი მიზეზია ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ეს არის საქონლის, კაპიტალისა და შრომის იმპორტის შემცირება ერთიანი ევროპული ბაზრიდან გასვლის გამო. იაფი ესპანური სალათის ფურცლები, იაფფასიანი რუმინელი მედდა, იტალიელი პიცის მცხოვრებელი ან ბერძენი პარიკმახერი წარსულს ჩაბარდა.

მეორე მიზეზი არის ექსპორტის შემცირება. ევროკავშირის ერთიანი ბაზარმა ბრიტანელებს მისცა წვდომა ნახევარი მილიარდი პოტენციური მომხმარებლის ჯიბეზე, რომლებიც ბუღარეთიდან და გერმანიიდან კვიპროსსა და პორტუგალიამდე იყვნენ გადახანძრული, არადა, თითქმის მეზობელ ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ახლა მათ შორის გადასახადებისა და ფორმალუბების კედელია აღმართული. ბრექსიტის ბარიერები ვაჭრობაში დიდ ბრიტანეთს თითქმის 13 მილიარდი ფუნტი უჯდა. ეს მისი წინა ბრუნვის დაახლოებით 16%-ია. ასეთია კვლევითი ინსტიტუტის, CER გამოთვლის შედეგად მიღებული მაჩვენებელი.

გამარჯვება მიზანსაღია

მთავარი, არის მიგრაციის შეზღუდვა. ჩამოსვლათა საერთო რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, რადგან ევროპელებს აღარ შეუძლიათ უბრალოდ ჩასვლა და ქვეყანა-

სამეფოს პრემიერობა თუ ირლანდიის გაერთიანება?


BREXIT-მ საფრთხე შეუქმნა არა მხოლოდ დიდი ბრიტანეთის შემოსავლებს, არამედ სამეფოს ერთიანობასაც. ოთხი ნაციონალიზმი, რომლებიც მას ქმნიან, ჯერჯერობით მხოლოდ ინგლისი და უელსი არიან ერთად. შოტლანდიასა და ჩრდილოეთ ირ-

კიევში პოროშენკო დაბრუნდა და...



უკრაინის მესამე პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო განაცხადა, რომ ხელისუფლებაში ის აეროპორტში იმით არ დააკავა, რომ მას თან უკრაინელი და საერთაშორისო ურნალისტები ახლდნენ. „15 წუთის განმავლობაში სამართალდამცველები არაკანონიერად ცდილობდნენ, უკრაინაში ჩემი შესვლა არ დაეშვათ. ჩემს პასპორტს 15 წუთის განმავლობაში ამონებდნენ, რათა უკრაინაში არ შევსულიყავი. ასე ვშინაობ ჩვენი“ - აღნიშნა პეტრო პოროშენკომ.

აღსანიშნავია, რომ სასაზღვრო კონტროლის გასვლის დროს უკრაინის ყოფილ პრეზიდენტს პასპორტი ჩამოართვეს, რომელიც მოგვიანებით დაუბრუნეს. უკრაინის სახელმწიფო საგანგებო ბიუროს განცხადებით, პეტრო პოროშენკო ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობასა და სახელმწიფო ღალატშია ეჭვმიტანილი. 19 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ მას შემდეგ, რაც სამართალდამცველებმა ყოფილი პრეზიდენტისთვის დაკითხვაზე დაბარების უწყების გადაცემა სცადეს, პეტრო პოროშენკომ უკრაინა დატოვა.



მიტ რომნი: პუტინს საბჭოთა კავშირის აღდგენის უფლება არ უნდა მივსუთ!

შეერთებული შტატები და დასავლეთის ქვეყნები ვალდებული არიან, ხელი შეუშალონ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს საბჭოთა კავშირის რაიმე ფორმით ხელახლა შექმნაში. ამის შესახებ რესპუბლიკელმა სენატორმა მიტ რომნიმ განაცხადა. „პუტინი ცდილობს, აღადგინოს ის, რაც ადრე შკრედა. ამის დაშვება არ შეიძლება“, - თქვა რომნიმ. სენატორის თქმით, პუტინი ნატოს დაქუცმაცებას და დასუსტებას ცდილობს. მიტ რომნის თქმით, რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის ხელთ არსებული ერთ-ერთი ბერკეტი „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის დახურვაა. სენატორმა გაიხსენა, რომ სენატში ინიცირებული კანონის პროექტი, რომელიც მილსადენის წინააღმდეგ სანქციებს ითვალისწინებდა, დემოკრატიამ სენატორებმა დაბლოკეს. „ჩვენ უნდა ვუთხრათ პუტინს, რომ თუ რაიმე ქმედებას დააბრუნებს უკრაინის წინააღმდეგ, ის დაკარგავს ამ სიმდიდრეს, ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის სახით“, - დასძინა სენატორმა.

რუსული ბირთვული რაკეტები ამერიკის სანაპიროსთან

რუსმა დიპლომატებმა აშშ-ისა და ნატოს წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებზე მიანიშნეს, რომ თუ უსაფრთხოების გარანტიებზე მოსკოვის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, აშშ-ის სანაპიროების მახლობლად შესაძლოა, ბირთვული რაკეტები განთავსდეს, - ამის შესახებ ინფორმაციას „ნიუ იორკ თაიმსი“ დისკუსიის მონაწილე დასავლელ დიპლომატებზე დაყრდნობით ავრცელებს. გამოცემის მიხედვით, რუსეთის წარმომადგენლებს მსგავსი გეგმების შესახებ პირდაპირ არ უსაუბრიათ და არ დაუკონკრეტებიათ, თუ რომელ ქვეყნებსა და ტერიტორიებზეა საუბარი აშშ-ის მახლობლად, მაგრამ გამოცემა ასევე წერს, რომ რაკეტების განთავსება სამიზნედ მისაღწევ დროს ხუთ წუთამდე შეამცირებდა. სტატის ავტორების თქმით, შეუძლებელია იმის თქმა, რამდენად სერიოზულია მსგავსი გეგმები და არის თუ არა ისინი დასავლური ქვეყნების დაშინების მცდელობა, რათა აიძულონ ისინი, მიიღონ რუსეთის მოთხოვნები მოლაპარაკებებში. მანამდე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიაბკოვმა ტელეარხ „არტივიაისთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთს შეუძლია, გაატაროს ლონისძიებები სამხედრო-საზღვაო ძალების მეშვეობით, თუ ვაშინგტონი მოსკოვის პროვოცირებას მოახდენს და მასზე სამხედრო ზეწოლას განაგრძობს. პასუხად კითხვაზე, განიხილება თუ არა საერთოდავ რუსული სამხედრო ინფრასტრუქტურის, მაგალითად, ვენესუელაში ან კუბაში განლაგების შესაძლებლობა, რიაბკოვმა თქვა: „არაფრის დადასტურება და არც არაფრის გამორიცხვა მსურს“.

ჩრდილოეთ კორეა ბალისტიკურ რაკეტებს უზრუნველყოფს

ჩრდილოეთ კორეამ სავარაუდოდ მოკლე მანძილზე მოქმედი ორი ბალისტიკური რაკეტა ისროლა. მედიის ინფორმაციით, ფხენიანის მიერ რაკეტების გაშვების ფაქტს სამხრეთ კორეა და იაპონია ადასტურებენ. მათივე ცნობით, მიმდინარე თვეში ეს ჩრდილოეთ კორეის მიერ ჩატარებული მეთორმეტე სარაკეტო გამოცემაა. სამხრეთ კორეის არმიის გენშტაბის ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეამ სავარაუდოდ ბალისტიკური რაკეტები ფხენიანის აეროპორტიდან ისროლა, რომლებმაც 42 კილომეტრის სიმაღლეზე 380 კილომეტრის მანძილზე იფრინეს. იაპონიის მთავრობამ რაკეტების გაშვება დაგმო და რეგიონული მშვიდობის, უსაფრთხოების საფრთხე უწოდა.

მსოფლიო ეკონომიკურა ფორუმა ათწლეულის კირითაღი რისკები ჩამოთვალა

უახლოესი 10 წლის ძირითადი რისკები დაკავშირებულია კლიმატურ ცვლილებებთან - ასეთია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული მოსწენების Global Risks Report 2022-ის დასკვნა.

ფორუმის ექსპერტების აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში პრობლემას წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კლიმატური ცვლილებების თავიდან აცილების უნარის არარსებობა. გლობალური დათბობა გამოიწვევს ექსტრემალურ ამინდს და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირებას. ქვეყნების მთავრობებს არ შესწევთ შექმნილი ვითარების უკეთესობისკენ შეცვლის ძალა, ეს კი მომავალში გლობალური მშპ-ს 1/6-ით შემცირებას გამოიწვევს - ძირითადად სოფლის მეურნეობაში და თევზჭერაში პრობლემის მკვეთრი გაუარესების, ტყეების განადგურების და სხვა ფაქტორების გამო, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია კლიმატის ცვლილებასთან. ანგარიშის ერთ-ერთი ავტორის, სადაზღვევო ჯგუფ Zurich Insurance Group-ის რისკების შეფასების მთავარი სპეციალისტის პიტერ გიგერის აზრით, მთავრობების უმწეობა დაადასტურა გლაზგოში გამართულმა გაეროს კლიმატურმა კონფერენციამ, რომელმაც გამოიმუშავა ვალდებულებები დედამიწაზე საშუალო ტემპერატურის ზრდის შეწყვეტასთან დაკავშირებით, მაგრამ შეთავაზებული ზომები დასახული ამოცანის შესრულებისთვის აშკარად არასაკმარისია. კორონავირუსის პანდემიამ წინა პლანზე რამდენიმე გლობალური რისკი გამოიტანა - მაგალითად, სოციალური უთანასწორობის ზრდის საფრთხე. „თუ შევხედავთ დედამიწის მოსახლეობის ყველაზე შეძლებულ 20%-ს, დავინახავთ, რომ პოსტ-პანდემიურ პირობებში მათ თავიანთი დანაკარგების თითქმის ნახევრის კომპენსირება მოახერხეს. მაგრამ თუ შევხედავთ ყველაზე ღარიბ 20%-ს, მათ 2021 წელს შემოსავლების კიდეც 5% დაკარგეს“, - გა-



ნაცხადა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მმართველმა დირექტორმა საადია ზაჰიდომ. სოციალური უთანასწორობა უახლოესი 10 წლის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკია და ის მხოლოდ კლიმატურ ცვლილებებს ჩამორჩება. მოკლევადიან პერსპექტივაში არსებულ რისკებს ემატება ინფექციური დაავადებების გავრცელება, მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესება და შესუსტებული მთავრობები. საშუალოვადიან რისკებს კი დააბალიანებს დონის ზრდა და გლობალური დაბნობის არარსებობა - ანუ, როდესაც ეკონომიკური დაბნობა არა მხოლოდ ძველს, არამედ ძველს ვიდრე უახლოესი მომავლის მიმართ, და მხოლოდ 11% ელის 2024 წელს გლობალური ეკონომიკის აღდგენის მაღალ ტემპებს. FORBESRU



ბილ გეიტსის 7 პრობნოზი რა მოხდება 2022 წელს?!

1. ბილ გეიტსის აზრით, 2022 წელს კორონავირუსის პანდემიის მწვევი ფაზა დასრულდება, იმის მიუხედავად, რომ ახალი შტამი „კომიკრონი“ სწრაფად ვრცელდება და დელტას სულ მალე ჩანაცვლებს. 2020 წელს ის პანდემიის დასრულებას 2021 წლისთვის ვარაუდობდა, მაგრამ შემდეგ აღიარა, რომ არასათანადოდ შეაფასა, რამდენად რთული იქნებოდა ადამიანების დათანხმება ვაქცინაციაზე და პირდაპირი ტარებაზე. მისი აზრით, 2022 წელს კორონავირუსი კაცობრიობისთვის ენდემური, ანუ, გრიპით დამახასიათებელი დაავადება გახდება. ასევე მილიარდერი მიიჩნევს, რომ ამ დროისთვის კაცობრიობას ვაქცინაციის ბევრად მეტი საშუალება აქვს. 2. მილიარდერის აზრით, 2022 წელს მსოფლიო დიდი პროგრესს მიაღწევს ალტეინერის დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის კუთხით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ეს დაავადება მსოფლიოში 50 მლნ. ადამიანს სჭირს და ყოველწლიურად მათი რაოდენობა 10 მლნ-ით იზრდება. დაავადების რისკ-ფაქტორებია გენეტიკური მიდრეკილება და მაღალი წნევა. ამ დროისთვის ალტეინერის დაავადების კარდინალური მკურნალობის საშუალება არ არსებობს, წამლებს მხოლოდ მისი განვითარების შეწყვეტა შეუძლიათ. დაავადების ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ მისი გამოვლენა უკვე პროგრესირებდა სტადიებზე

ხდება. ბილ გეიტსის აზრით, სისხლის ანალიზის ახალი მეთოდის დაავადების ადრეულ სტადიებზე აღმოჩენის შესაძლებლობას გააჩნის, ეს კი მძიმე ფორმების რაოდენობის შემცირებას შეუწყობს ხელს. მილიარდერი თქმით, ამ კუთხით ბევრი ახალი აღმოჩენა გაკეთდა და 2022 წელი შესაძლოა გარდამტეხი აღმოჩნდეს. 3. მისი პროგნოზი. გეიტსი იმედოვნებს, რომ 2022 წელს ამოქმედდება პარავარდის უნივერსიტეტში დამუშავებული კლიმატური ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერიმენტული საშუალება. საუბარია პროექტ SCOPEX-ზე, რომელიც 20 კილომეტრის სიმაღლეზე კალციუმის კარბონატის გაშვებას ითვალისწინებს, რაც შექმნის ღრუბლებს, რომელიც მზის მაგნიტურ გამოსხივებას აბრუნებს. ამ პროექტში ინვესტიციები თავად ბილ გეიტსმაც ჩაღო. 4. ანალიზები - სახლში. გეიტსი ასევე პროგნოზირებს, რომ უახლოეს მომავალში გაჩნდება მონოკლინობა, რომელიც ადამიანებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მაჩვენებლების სახლში შემონახვის საშუალებას მისცევს. ამის დაკავება შესაძლებელი იქნება პაციენტების „ჭკვიან საათებზე“ დაგროვილი ინფორმაციის მკურნალი ექიმისთვის გადაცემის გზით. ის ასევე დიდ პერსპექტივას ხედავს ტელემედიცინაში, რომელიც ადამიანებს სასურველ ექიმთან კონსულტაციის შესაძლებლობას ონლაინ-რეჟიმში მისცემს. 5. ანტი-ინფლუენცის ალ-მითხმობა. ბოლო ათწლეულების მანძილზე განვითარებულ ქვეყნებში ეს ვირუსული დაავადება თითქმის ამოიძირკვა, თუმცა, ღარიბ ქვეყნებში ის დღემდე არსებობს. ბილ გეიტსი 2022 წელს პოლიომელების ბრძოლაში დიდი ინვესტიციების ჩადებას აპირებს და იმედოვნებს, რომ ამ კუთხით 2022 წელს ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე იქნება. 6. წყალბადის ტრანსპორტი. გეიტსის აზრით, 2022 წელს მოსალოდნელია სერიოზული გარღვევა წყალბადის ენერჯეტიკაში, პროექტების Breakthrough Energy Ventures, Catalyst If Fellows-ის ფარგლებში. ის ეკოლოგიურად სუფთა და იაფი წყალბადის სანავის შექმნის საქმეში მნიშვნელოვან პროგრესს პროგნოზირებს. ამ პროექტებში, რომლებიც ინგლისში ხორციელდება, გეიტსმა 400 მლნ ფუნტი ჩაღო. 7. შესხვადის ადგილი - მისიანობა. 2-3 წელიწადში ვირტუალური შესხვადების დიდი ნაწილი მეტასამყაროში შედგება. „იდეა იმაშია, რომ ავტარის გამოყენებით, თქვენ შეძლებთ ვირტუალურ სამყაროში კოლექტიური შესხვადების გამართვას ისე, რომ ერთ ოთახში ყოფნის ილუზია გექნებათ. ამისთვის თქვენ სპეციალური სათვალეები და ხელთათმანები დაგჭირდებათ. 2022 წელს ჩვენ ამ ტენდენციის პირველი ნაბიჯების მიწვევები გავხდებით“, - თვლის ბილ გეიტსი. მისი თქმით, ამ ეტაპზე მეტასამყაროს ტექნოლოგია ძალიან სწრაფად ვითარდება და ახლო მომავალში ამ მხრივ პროგრესი კიდევ უფრო დაჩქარდება. 9TVISRAEL

მსოფლიოს თასი

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში დამთავრდა მოსმალავე ქალ-ვაჟთა მსოფლიოს თასის პირად-გუნდური გათამაშება. შეჯიბრებაში 41 ქვეყნის 400-მდე მოფარიკავე შეიკრიბა. შესანიშნავად იასპარეზა ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილემ, ევროპის ჩემპიონატების სამგზის ბრინჯაოს პრიზიორმა, მსოფლიოს გრან პრის ორგზის მესამეადგილოსანმა, ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონმა სანდრო ბაზაძემ, რომელიც ტურნირში პლეი ოფიდან ჩაება. პირველ წრეში მან ოლეგ პეტროვის (რუსეთი) აჯობა - 15:8, შემდეგ ზედიზედ დაამარცხა სანად გემევი (უნგრეთი) - 15:10, ჯუნ-პო კიმი (კორეა) - 15:7, ჯოვანი რეპეტი (იტალია) - 15:10, ნახევარფინალში - ბოლად აბიტის (საფრანგეთი) ჩამოიშორა გზიდან - 15:10, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი ჯუნ-პვან კიმის (კორეა, 15:12) მძლველ კამილ იბრაგიმოვის (რუსეთი) 15:8 მოუგო და მსოფლიოს თასი მოიპოვა, რაც ქართული ფარიკაობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. მეორე ადგილზე გავიდა კამილ იბრაგიმოვი. ბრინჯაოს მედლები ბოლად აბიტისა და ჯუნ-პვან კიმს ერგო.

მამაკაცთა ორთაბრძოლებში, სანდრო ბაზაძის გარდა, საქართველოს 13 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათგან გამოირჩა ჩვენი ქვეყნის მოსმალავეთა ნაკრების წევრი, 23-წლამდელეებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ბექა ბაზაძე. ჯგუფში მან ოთხი მეტოქე (ოლექ-



სანდრო ბაზაძის ბრწყინვალე გამარჯვება

სანდრო კარაკაი (უკრაინა, 5:4), მოჰამად ალამრი (სამხრეთი აფრიკა, 5:1), ფლორიან შიკელე (საფრანგეთი, 5:2), ჯოვანი რეპეტი (იტალია, 5:2) დაამარცხა, ორი შეხვედრა წააგო სორინ ეფტიმსა (რუმინეთი, 4:5) და ზუჰრიდინ კოდიროვთან (უზბეკეთი, 4:5), პლეი ოფში ნოლან უილიამსი (აშშ, 15:8), სტიაპან კოვალი (ბელარუსი, 15:5), გიეონდონგ დო (კორეა, 15:10), დერილ ჰომერი (აშშ, 15:13) ჩამოიშორა გზიდან, თავად კი ენდრიუ მაკკეივიჩს (აშშ, 13:15) ვერ გაუმკლავდა

და საბოლოოდ მე-15 ადგილზე გავიდა. დანარჩენ ჩვენებურთა მარცხენებლები ასეთია: 66. ვაჟა რეჭია, 105. ლაშა კუჭუხიძე, 109. ნიკოლოზ ჭეიშვილი, 117. ნიკოლა რუსე, 124. გოგა კაკაურიძე, 144. ვახტანგ არჩვაძე. ეს მოფარიკავეები პლეი ოფში კი გავიდნენ, მაგრამ პირველივე შეხვედრებში დამარცხდნენ. რაც შეეხებათ ახალგაზრდა მოსმალავეებს - ალექსანდრე ხორხომელიძეს, ლუკა ლომინაძეს, დავით თავართქილაძეს, ლუკა კუჭუხიძეს, თემო ალისტრახოვ-

სა და ალექსანდრე თავართქილაძეს, ისინი ჯგუფში ვერ ჩარჩნენ.

ქალებში კარგად იასპარეზა ევროპის 2017 წლის ჩემპიონმა თეოდორა კახიან-მეკლინგმა, რომელმაც ჯგუფში ექვსი შეხვედრა გამართა. დაამარცხა ხუთი მეტოქე - ქეით დეიკინი (დიდი ბრიტანეთი, 5:4), სიგლეტონ-კომფორტი (აშშ, 5:1), მოჰამედ ბელკებირი (ალჟირი, 5:3), იასმინა აბდულაევა (უზბეკეთი, 5:1), ზარიფა ჰუსეინოვა (აზერბაიჯანი, 5:3) და ერთადერთი ორთაბრძოლა ზარიფა სიესლართან (პოლონეთი, 1:5) წააგო. 64 საუკეთესოში აზერბაიჯანელ სევილ ბუნიატოვას კი სძლია 15:9, მაგრამ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ მანონ ბრუნე-აპიტის (საფრანგეთი) ვერ გაუმკლავდა - 9:15 და 27-ე ადგილზე გავიდა. ლიკა ჯიჯეიშვილი 66-ე ადგილს დასჯერდა.

ჯგუფში, შესაბამისად, სამი და ორი მოგების მერე პლეი ოფში გამოეთიშნენ თასის გათამაშებას თბილისელები - 107. თამარ ჩარკვიანი და 114. ალექსანდრა კუვაევა; კატო არჩვაძემ, სალომე გოგუამ, მარიამ ტულუშმა და მარი კაკიოშვილმა ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახეს.

კმარტსლები აპიონები: კაროლინ კეროლი (საფრანგეთი), 2. ტეოდორა კუნტურა (საბერძნეთი), 3. იანა ეგორიანი (რუსეთი), როსელა გრეგორიო (იტალია).

ლემსო ცინცაძე

კვანძი გაიხსნა



არავითარი შედეგით!

დგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა და ნოვაკმა საქმე წააგო. ამრიგად, მან ავსტრალიის ვიზა, რომელიც ბოლოს ემიგრაციის მინისტრმა გაუუქმა, ვერ აიღო. უახლოეს მომავალში მსოფლიოს პირველი ჩოგანი ავსტრალიიდან დეპორტირებული იქნება.

შეგახსენებთ, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩი ავსტრალიის ლია პირველობის 9-გზის ჩემპიონია და დიდი სლემის 20 ტიტული აქვს მოგებული. მას ერთადერთი სლემი აშორებს როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის გადასასრებად, თუმცა, ამის გაკეთებას ავსტრალიაში ნამდვილად ვერ შეძლებს.

ჯოკოვიჩი ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი, მაგრამ, ცხადია, ახლა ტურნირის ორგანიზატორებს მისი ჩანაცვლება მოუწევთ. აქვე გეტყვით, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილი ავსტრალიის ლია პირველობის პირველ წრეში ბრიტანელ ენდი მარეის დაუპირისპირდება.

ღირსეული

პელვინ კატარმა გიგა ჭიკაძესთან ბრძოლის შემდეგ კომენტარი გააკეთა და ქართველი მეტოქე შეაქო. როგორც ამერიკელმა აღნიშნა, ჭიკაძე ძალიან ძლიერი და რთული მეტოქე იყო.

„რატომღაც თავს ორნაირად ვგრძნობ: საშინლად, მაგრამ ამავდროულად ყველაზე ბედნიერად. არ ვიცი, ეს ფანტასტიკურია. გიგა ძალიან ძლიერი მეტოქეა, UFC-ში 7 ბრძოლა ჰქონდა მოგებული. ყველაფერი სწორად გააკეთა. ბევრი გულშემატივარი მწერდა, მაგრამ მთავარი საკუთარი თავის რწმენაა. მისხარია, რომ გავიმარჯვებ, უბრალოდ მჭირდებოდა კიდევ ერთი შანსი. გიგა ნამდვილი პროფესიონალია და ჩემთვის დიდი მეტოქე იყო. ეს ბრძოლა ჩემი თავის გამოცდა იყო და დავრწმუნდი, რომ ჩემი ადგილი დივიზიონის სათავეშია. ამ მომენტში არაფერს გამოწვევა არ მინდა, უბრალოდ მსურს ჩემს ძმას დაბადების დღე მივულოცო, გუშინ ჰქონდა. მისხარია, რომ დავებრუნდი“, - თქვა ბოსტონელმა.

„ბელნიჩის პარ და უბედურის“...

ონელმა. შეგახსენებთ, რომ გიგა ჭიკაძეს UFC-ში 7 ბრძოლა აქვს მოგებული და პირველი მარცხი განიცადა. 33 წლის ქართველი ნახევრადმსუბუქი წონის რეიტინგში მერვე ადგილზეა.



როსლა გვეღირსო...

ეროვნული ლიგას, ნაკრების, ლეგიონერების

დაინტერესებული ხართ თუ არა, რა ეშველება სულთმობრძე ეროვნულ ჩემპიონატს? რამდენად საფუძვლიანია ქვეყნის ნაკრების ამბიციები? გაიღება თუ არა გამორჩეულ „ჯვაროსანთათვის“ ევროპული ტოპ-კლუბების კარი? და ასე შემდეგ...

რადგან რამდენიმე აქტუალურ საკითხს შევეხებით, მოდით, პოზიციაც თანმიმდევრობით გამოვთქვათ. უპირველესად, არ გამართლდა, ყოველ შემთხვევაში - მომავალ წლამდე, ახლახან გავრცელებული ხმები, თითქოს სახელმწიფოს მხრიდან ჩვენი გუნდების დაფინანსება უნდა შეწყდეს, რაც „კრიტიკაზე“ ეროვნული ლიგისთვის სასიკვდილო განაჩენი იქნებოდა.

მართალია, უანგბადის ბალიში ამჯერად გამოიქნა, მაგრამ კვლავაც ბუნდოვანია - ვინ ან რა უშველის ქართულ საკლუბო ფეხბურთს გაისად ან, მით უმეტეს, უფრო შორეულ პერსპექტივაში, როცა ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი მისიას ამონურავს და ისევე გაქრება თვალსაჩინოდ, როგორც, მაგალითად - პროფლიგა?

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იგი სეზონში მარტში

დაგეგმილი ორი გასვლითი ამხანაგური მატჩით ჩაებმება - 25 მარტს - ბოსნიაში და 29 მარტს - ალბანეთში (მასპინძელი ქალაქები მოგვიანებით დასახელდება).

შეგახსენებთ, რომ ბალკანელებს ისტორიაში პირველად შეხვედებით, ძველ ნაცნობ ალბანელებთან კი დადებითი ბალანსი გვაქვს: 7 მოგება, 3 ფრე და 3 ნაგება. ახლა კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ალექსანდრე იაშვილს მოვუსმინოთ...

„მნიშვნელოვანი იყო ისეთ მეტოქეთა შერჩევა, რომლებიც დაახლოებით იმ სიძლიერის იქნებოდნენ, ერთა ლიგაზე რომ უნდა შეხვდეთ. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება ბოსნიასთან მატჩი, მთლიანობაში კი ორივე ნაკრები ის საკმაოდ ძლიერია და თამაშის სტილით ახლოს არიან ბულგარეთისა და ჩრდილოეთ მაკედონიის გუნდებთან. ასევე გავითვალისწინეთ ერთა ლიგის კალენდარიც - მოგესხნებათ, ივნისში სწორედ გასვლაზე გვიწევს ბულგარეთსა და ჩრდილოეთ მაკედონიასთან ბრძოლა და ამიტომაც გადავწყვეტიეთ, საგაზაფხულო სპარინგები სტუმრად გვეთამაშა, რათა უკეთ მოვემზადოთ ზაფხულის ოფიციალური შეხვედრებისთვის“.

და ბოლოს - ქართველ ლეგიონერთა პროგრესის ერთგვარი ბარომეტრი - „ტრანსფერმარკეტის“ ფასები, რომელმაც მხოლოდ მიქაუტაძემ და ლობჯანიძემ „გააძვირა“, ხოლო მათი საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

კვარაცხელია („რუბინი“) - 16.00. ლობჯანიძე („შათაის-ფორი“) - 3.70. სოჭოლავა („კოპენჰაგენი“) - 3.00. მამარადაშვილი („ვალენსია“) - 3.00. კიტეიშვილი („შტურმი“) - 3.00. დავითაშვილი („ტულა“) - 2.50. მიქაუტაძე („სერენი“) - 2.50. ჩაკვეტაძე („გენტი“) - 2.30. ტაბიძე („უეფა“) - 2.00. შენგელია („ლეუვენი“) - 1.80, ქვილითაია („აბოელი“) - 1.80.

მოკლედ

ფუტსალი. სვალ საქართველოს ეროვნული ნაკრები თავის ისტორიაში პირველ ევროპის ჩემპიონატზე ნიდერლანდებში მიემგზავრება, სადაც ჯგუფურ რაუნდში ქალაქ გრონინგენში ასეთი გრაფიკით ითამაშებს: 22 იანვარი. საქართველო - აზერბაიჯანი. 26 იანვარი. საქართველო - ბოსნია. 29 იანვარი. საქართველო - ესპანეთი.

საეტაპო გამოცდის ჩაბარების წინ ავთანდილ ასათიანის განვრთნილმა გუნდმა მეორე სპარინგიც მოუგო ტაჯიკეთს - 10:1 (პირველი მატჩი - 6:2). სტუმრებს 4 ბურთი ელისანდრომ გაუტანა, ხოლო 2 - კურტანიძემ. შეხვედრები თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა.

კალათბურთი. წარმატებით დაუბრუნდა „ტენერიფეს“ კორონავირუსმომხდელი გიორგი შერმადინი.

ქართველი ლეგიონერის მიერ 31 წუთში მოგროვებული 14 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება და 2 ჩაჭრა დუბლის ავტორ მარსელინიო უერტასის (18 ქულა, 10 მოხსნა) წვლილთან ერთად გადაწყვეტილ აღმონდა ჩემპიონთა ლიგის პლეინის პირველ მატჩში თურქული „კარშიაკას“ დასამარცხებლად - 76:69.

ასე რომ, მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად კუნძულებს საპასუხო ბრძოლაში 6 ქულით წაგებაც აწყობთ.

ფიხბურთი. ესპანეთის სუპერთასის მფლობელი მე-12-დ გახდა მადრიდის „რელი“, რომელმაც ოთხთა ფინალის სატიტულო ჯახი ბილბაოს „ატლეტიკს“ მოუგო - 2:0 (მოდრიჩი, ბენზემა - პენალტით).

ინტერნაციონალური აბრაკადაბრა

საპარტიველო მოქალაქე ბელარუსიდან პოლონეთში მიგრანტები უკანონოდ გადაჰყავდათ და გერმანიაში გამგზავრებაში ეხმარებოდნენ.

ორბანიზმებში დანაშაულებრივი ჯგუფის ცხრა წევრს ბელარუსიდან პოლონეთში მიგრანტები უკანონოდ გადაჰყავდათ და გერმანიაში გამგზავრებაში ეხმარებოდნენ.

პროკურატურის პრესსპიკერის, არტურ შიკულას განცხადებით, დაკავებულების უმრავლესობამ სავარაუდოდ დანაშაული აღიარა. ოთხ ეჭვმიტანილთან დაკავშირებით პროკურორმა სასამართლოს დროებითი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მიმართა, რაც დაკავშირებულია დარჩენილ პირებზე პრევენციული ღონისძიებების პოლიციის ზედამხედველობისა და ქვეყნიდან გასვლის აკრძალვის სახით იქნა გამოყენებული.

ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების საქმიანობა გასული წლის სექტემბრიდან მიმდინარე წლის იანვრამდე პერიოდს მოიცავს. ჯგუფის წევრები პოლონეთის საოლქო ვოლოში, ვარშავაში, ლოშში, ვროცლავსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში აქტიურობდნენ. ჩხრეკის დროს დაკავებულებს 475 000 ევრო და 30 000 დოლარი აღმოაჩნდათ. პოლონეთის პროკურატურის ინფორმაციით, ასევე დაკავებული არიან პოლონეთის, უკრაინისა და ტუნისის მოქალაქეები. საგამოძიებო მოქმედებებში „ევროპოლიც“ იღებდა მონაწილეობას.

ეჭვიანობის ნიღაბზე ყოფილი მეუღლე მოკლა

ლაბოლდში, წარსულში ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1985 წელს დაბადებული გ.ბ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა გ.ბ.-მ ყოფილი მეუღლე, 1984 წელს დაბადებულ ნ.ჭ. ეჭვიანობის ნიღაბზე გაგუდა, რის შემდეგაც, დანაშაულის დაფარვის მიზნით, საცხოვრებელ სახლში არსებული ბუნებრივი აირის გაზქურის ონკანი გახსნა



და შემთხვევის ადგილიდან მიმალა. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად გ.ბ. დააკავეს“.

იმერკული ბრაკონიერები

ბარემოსლაცხვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა იმერეთში უკანონო ნადირობის 16 ფაქტი გამოავლინეს. მათი ინფორმაციით, სამართალდარღვევები გამოვლენილია ზესტაფონის, წყალტუბოს, თერჯოლის, ბაღდათის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტებში.

„9 მოქალაქე არარეგისტრირებული სანადირო იარაღით ნადირობდა, ხუთმა მოქალაქემ ვერწარმოადგინა გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით), 3 მოქალაქე კი ნადირობისას გასანათებელ მოწყობილობას, ე.წ. ფარსაც იყენებდა. ორ მოქალაქეს მონადირეული ჰყავდა 2 ერთეული ტყის ქათამი. სამართალდამრღვევებს სანადირო იარაღები ჩამოერთვათ. შედგა შესაბამისი დოკუმენტაცია“, – ნათქვამია ინფორმაციაში.



თაღლითობა ღამის კლუბში

მიმდინარე წლის 14 იანვარს, თბილისის ცენტრალურ უბანში მდებარე ერთ-ერთი კლუბის თანამშრომელმა 1980 წელს დაბადებულმა – ე.ჩ.-მ ამავე კლუბის სტუმარს, გერმანელ ტურისტს – 1994 წელს დაბადებულ მ.ო.-ს შეკვეთის შეუსაბამო თანხა იძულების გზით გადაასდევინა. კერძოდ, ბრალდებულმა მ.ო. აიძულა და შეკვეთილი ლუდის ღირებულების ნაცვლად გაცვლითი დიდი თანხა გადასდევინა.

საქმეზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პოლიციამ აღნიშნული კლუბი დააღუჭა, მოგვიანებით კი, ამავე კლუბის თანამშრომელი – ე.ჩ. ბრალდებულის სახით დააკავეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის 1 ნაწილით, რაც გულისხმობს იძულებას – ადამიანისთვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას“.

მოსალოდნელ აშინდთან დაკავშირებით გვაფრთხილეთ

19-20 იანვარს საქართველოში კვლავ მოსალოდნელია აშინდის არასელსაყრელი პირობები: დროგამოშვებით ნაღველი, უმეტესად თოვლის სახით, ზოგან ძლიერი, ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი დაკლება, ძლიერი ქარი, – ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

სინოპტიკოსების პროგნოზით მთაში და მაღალ მთაში მოსალოდნელია ძლიერი თოვა, ნისლი და ქარბუქი, ზღვაზე 4-5-ბალიანი შტორმი, საავტომობილო გზებზე ლიპინული, ელექტროგადამცემ საზებზე შემოვიწროება, მთიან რეგიონებში ზვავაშიშროება.

საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე დიდთოვლობის, ნიღვადობის გაუარესების, ქარბუქის, ლიპინულის და ზვავაშიშროების გამო შესაძლებელია შეიზღუდოს ტრანსპორტის მოძრაობა. 18, 20 და 21 იანვარს კოლხეთის დაბლობზე ღამის საათებში მოსალოდნელია ჰაერის ტემპერატურის -5, -8 გრადუსამდე დაწვევა, რამაც შესაძლებელია ციტრუსოვანი კულტურების დაზიანება გამოიწვიოს

ი. შორდანიას და ა. ხომასურიძის რეკონსტრუქციული ინსტიტუტი აბრკილავს მუშაობას მისამართზე – თევდორა მღვდლის, 13 ა. VII სართული. ტელ. 224 00 99; 224 00 98. მალე განხილავს ჩირუბიული და ინ ვიტრო განყოფილებაში. ბისურვებთ ჯანმრთელობას!

სანთელი

მეუღლე, შვილები, ახლობლები, ნათესავები და მეგობრები, მათ შორის გურამ, რობერტ და ზურაბ პეტრიაშვილები ღრმა მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლოპარტი (რუალტი) არჩილის ქე ბაბაშვილი

გამოსვენება 18 იანვარს, 14 საათზე. სოფელ დიდ ლილოში (ციხის უბანში) ავტობუსები გადაიან მეტრო „ისინიდან“ – №12.

დაღუპული დავნილის ოჯახს აუხაზეთის მთავრობა დაეხმარება

აფხაზეთის ავტონომიური მთავრობა ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. მთავრობა მომხდარის გამო წუხილს გამოთქვამს და გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს უსამძიმრებს.

„გულწრფელ თანადგომასა და სამძიმარს ვუცხადებთ აფხაზეთიდან იძულებით დევნილ ზურაბ ქიჭოშვილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება და ზურაბ ქიჭოშვილის გარდაცვალების მიზეზის შესაბამისი სამსახური დაადგენს.

აფხაზეთის მთავრობა დახმარებას გაუწევს გარდაცვლილის ოჯახს. მთავრობის პრიორიტეტია იძულებით გადაადგილებულ პირებსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი ინტერესების დაცვა“, – აღნიშნულია განცხადებაში. 16 იანვარს ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები ერთ-ერთი დევნილი კაცი შენობის სახურავიდან გადმოხტა და გარდაიცვალა.



სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები ერთ-ერთი დევნილი მამაკაცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი აცხადებს, პირველად ინფორმაციით, ეს არის უბედური შემთხვევა.


ქეთევან დედოფლის გაზეირის რეაბილიტაციის დასრულება

ისნის რაიონში, ქეთევან დედოფლის გამზირის სრული რეაბილიტაცია იწყება. ინფრასტრუქტურული პროექტი მეტროსადგურ „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიიდან ლეს კაინისკის ახლად რეაბილიტირებულ ქუჩამდე არსებულ (1,7 კმ) საგზაო მონაკვეთს მოიცავს.

პროექტის მიხედვით, მთლიანად შეიცვლება მიწისქვეშა კომუნიკაციები და გზის სავალ ნაწილზე ასფალტის საფარი დაიგება. ასევე, ელექტროგადამცემი ხაზები მიწის ქვეშ განთავსდება, სრული რეაბილიტაცია ჩატარდება გარე განათების ქსელს, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოიყოფა სპეციალური ზონები და მოწყობა ველობილიკი. გაზეირის რეაბილიტაცია რამდენიმე ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე დაგეგმილი სამუშაოები 20 იანვარს დაიწყება, რომელიც მეტროსადგურ „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიიდან თელავის ქუჩამდე არსებულ საგზაო მონაკვეთში ჩატარდება.

თბილისის მერია გაცნობებთ, რომ 20 იანვრიდან ოთხი თვის განმავლობაში, ქეთევან დედოფლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, მეტროსადგურ „ავლაბრის“ მიმდებარე ტერიტორიიდან თელავის ქუჩის კვეთამდე არსებულ საგზაო მონაკვეთში სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება შეიზღუდება.

მეტროსადგურ „300 არაგველის“ მიმართულებით მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს გადაადგილება შეეძლებათ წურწურისა და თელავის ქუჩების გამოყენებით, „300 არაგველიდან“ მეტროსადგურ „ავლაბრისკენ“ მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები კი გადაადგილებიან თელავისა და წურწურის ქუჩების საშუალებით, ასევე, ბოჭორმისა და იალბუხის ქუჩების გავლით, მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და შემდეგ ბარათაშვილის აღმართის საშუალებით.



საპარტიველოში ფულადი გზავნილების მოსვლა იწყდება

2021 წლის დეკემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 229.5 მლნ აშშ დოლარი (711.1 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 14.9%-ით (29.8 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2020 წლის დეკემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე, – ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული ბანკი აქვეყნებს.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 95.2% იმ 21 უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც გზავნილების მოცულობა დეკემბერში თითოეულზე 1 მლნ აშშ დოლარს აღემატებოდა. იმავე 21 ქვეყანაზე გასული წლის დეკემბერში მთელი ფულადი გზავნილების 95.7% მოდიოდა. 2021 წლის დეკემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 33.3 მლნ აშშ დოლარი (103.3 მლნ ლარი) გადაიგზავნა, რაც 2020 წლის დეკემბრის (24.7 მლნ აშშ დოლარი) ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 35.1%-ით მეტია.



რა ღაგიშავათ ანაბა?!

ანუ უნაღია თუ მიჯანყებულნი უნდაღია?!

ლიტერატურის მუზეუმმა გამოსცა ელენე ბაქრაძის (დარიანი) წიგნი, სადაც ავტორის კუთვნილებად გამოცხადებულია ანა კალანდაძის ორი ლექსი, მოვითხოვთ მუზეუმისაგან, შეწყვიტოს აღნიშნული გამოცემის გავრცელება, — ამის შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„2021 წლის 31 დეკემბრიდან, სამინისტროს მომართა არაერთმა სამართლიანად აღშფოთებულმა მოქალაქემ, მათ შორის, ღია წერილითაც. ფაქტი საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია:

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმმა გამოსცა ელენე ბაქრაძის (დარიანი) წიგნი, სადაც სხენებული ავტორის კუთვნილებად გამოცხადებულია ანა კალანდაძის ორი ლექსი. ეს სამწესირო ფაქტი, კულტურის სამინისტროს მიერ შესწავლის შედეგად, ახლა უკვე უდავოდ დადასტურებულია და, ბუნებრივია, რომ მის გამომჟღავნებას საზოგადოების მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქმე გვაქვს ქართული ლიტერატურის კლასიკოსთან, სიცოცხლეშივე პოეზიის დედოფლად აღიარებულ შემოქმედთან, ვისი ორი ლექსიც სხვა ავტორს მიაკუთვნეს.

ისიც არ არის შემთხვევითი, რომ აუცილებელ რეაგირებას ლიტერატურის მუზეუმის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განმასრუციებელი უწყებისგან, კულტურის სამინისტროსგან მოითხოვენ. წიგნის შემ-

დგენელია ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე, რედაქტორი — დირექტორის მოადგილე თეა თვალავაძე. რედაქტორი გულწრფელად განიცდის აღნიშნულ შეცდომას, რასაც მისი ავად გახდომაც კი მოჰყვა.

სამინისტრო პატივს მიაგებს თეა თვალავაძის მუზეუმში მრავალწლიან კეთილსინდისიერ საქმიანობას და მას მომავალშიც მხნეობას უსურვებს. რაც შეეხება წიგნის შემდგენელსა და, იმავედროულად, მუზეუმის ხელმძღვანელს, ის კოვიდით არის ავად. უახლოეს პერიოდში, სამინისტრო მასთანაც გეგმავს საკითხის სერიოზულად განხილვას. აუცილებელია, გაირკვეს, რამ განაპირობა ესოდენ მასშტაბური რეზონანსის გამომწვევი შეცდომა ისეთ სოლიდურ დაწესებულებაში, როგორიცაა ლიტერატურის მუზეუმი.

სამინისტროსთვის ასევე პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმის პრევენციას, რომ სისტემის



შეგნით მსგავსი სამწესირო ფაქტების აღბათობა მაქსიმალურად გამოირიცხოს.

საზოგადოებას აქვე ვაცნობებთ, რომ სამინისტრომ უკვე მოითხოვა მუზეუმისაგან, რომ შეწყვიტოს აღნიშნული გამოცემის გავრცელება და მუზეუმმა მიმართოს შესაბამის ზომებს, მესამე პირებზე გადაცემული ეგზემპლარების დასაბრუნებლად. კულტურის სამინისტრო მადლობას უხდის ყველა იმ პირს, ვინც წიგნში არსებული შეცდომის შესახებ მას დროულად შეატყობინა, — აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 შპს ფხაველას №48
 ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
საბრტაძე ძოგუღია
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ბურამ გომიანაშვილი
 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი
 599 56-81-86;


პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემელი:
 შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 53-76-16; 599 36-00-35
 შპს „თანამდგომარეობა“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 იბეჭდება სტამბა „კოლორი“
 ე. ბაღდავაძის №3
კოლორი
 ჰაუზი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

2 009882 616932

პოეტის ერთი ლექსი



გურამ პატრიკაშვილი პარსკვლავი მანათობელი

ვარსკვლავსა მანათობელსა სხვისი არა აქვს შურით, სხვისი სინათლის კაშკაშით არ არის უბედურით...

მხოლოდ ერთი აქვს წუხილი, ფიქრი მძიმე და ძნელი, არ დამრჩევს გაუნათებლად მე ჩემი წილი ბნელით.

მხოლოდ ერთს დარდობს: ვაითუ, უდროოდ უცებ ჩავქრეო და ვერ დავეტოვო, ვინც უნდა, განაგრძოს ჩემი საქმეო.

ერთმა პაწია ვარსკვლავმა ჩემს ნაცვლად იციმციმოსო და მისი შუქიც ნეტავი ჩემებრ კაშკაშა იყოსო.

ვარსკვლავსა მანათობელსა, სულაც არ უყვარს ტაშით, ჩუმად იწვის და ანათებს შუქით გვექაძის ცაშიო...

პსტრიში პაქსინასია საკლდეპულო გახდება

პსტრიში, თებერვლიდან 18 წელს ზემოთ პირებისთვის ვაქცინაცია სავალდებულო ხდება. ამის შესახებ ავსტრიის კანცლერმა კარლ ნეჰმა ბრიფინგზე განაცხადა.

„კორონავირუსის პანდემიასთან წარმატებული ბრძოლისა და ავსტრიის ჯანდაცვის სისტემის დაცვისთვის აუცილებელია ვაქცინირების მაღალი მაჩვენებელი. ამიტომ თებერვლის პირველი დღეებიდან ავსტრიაში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია სავალდებულო გახდება“, — განაცხადა ნეჰმა. თებერვლის დასაწყისიდან

15 მარტამდე უპირველესად აცრა უნდა გაიკეთონ არავაქცინირებულმა ადამიანებმა. ისიც



ნი შესაბამის შეტყობინებებს ფოსტით მიიღებენ. 15 მარტიდან სავალდებულო

ვაქცინაციის პროცესი ხელი-სუფლების მხრიდან გაკონტროლდება. დარღვევისთვის დაწესებული იქნება ჯარიმა 600 ევროს ოდენობით, ზოგიერთ შემთხვევაში ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა, შესაძლოა, 3 600 ევრომდე გაიზარდოს.

ვაქცინაციის ვალდებულება არ ექნებათ 18 წლამდე მოზარდებს, ორსულებს, პირებს, რომლებსთვისაც ვაქცინაცია, შესაძლოა, ჯანმრთელობის რისკებთან იყოს დაკავშირებული. ასევე გამონაკლისი დაიშვება კოვიდგადატანილებისთვისაც კორონავირუსზე დადებითი პასუხიდან 180 დღის განმავლობაში.

მარტოღმარტო... თვითოფრინაუმი

ლონდონიდან ორლანდოსკენ (ფლორიდის შტატი) მიმავალი კაცის ფრენა არაფრით იქნებოდა გამოორჩეული, რომ არა ერთი გარემოება — აღმოჩნდა, რომ British Airways-ის ავიარეისზე ის ერთადერთი მგზავრი იყო და ავიაკომპანიამ მასთან იფრენა მხოლოდ მის გამო შეასრულა. ფორსატი ამბობს, რომ ეს „ყველაზე უცნაური გამოცდილება“ იყო მის ცხოვრებაში.

როგორც კაცი იხსენებს, მარტო მგზავრობისას არ მოუწენია და შეუზღუდავი სივრცე პირადი კომფორტისთვის მშვენივრად გამოიყენა — 4 სკამის სახელურები ჩასწია და კომფორტული საწოლიც მოიწყო.



2022 წლის ზაფხულში, აშშ-ში გაიხსნება მუზეუმი, სადაც დამთავლიერებული სამზარეულოს გიგანტურ ჭურჭელს იხილავს.

გავრცელდა ვიდეო, როგორ გადააქვთ მუზეუმისთვის დამზადებული გიგანტური ტაფა სატვირთო ავტომობილით. ტაფა 6 513 კილოგრამს იწონის და თუჯისგანაა დამზადებული. მისი ერთი სახელურიდან მეორემდე მანძილი 5 მეტრს აჭარბებს.

გიგანტური ტაფა



ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.
 (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ავტორთა საყურადღებოდ!
 რედაქციის მიერ შეუქმთავრი მასალა იღივებება
 ავტორთა ხარჯით.
 ავტორთა მოსაზრებები, შეხატა, გუდაბა არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
 ფაქტების სიუხტეზე პასუხს ავბავან ავტორები.

გაზეთის მომავალი ნომერი გამოვა ხვალ, 19 იანვარს

სკ	უსტოური ვალუტის ჯარსი: აუუ ღოლარი - 3.0775; პირი - 3.5268; ბრიტანული პირიანა სტერლინგი - 4.2260; 100 რუბლი - 4.1407; თურქული ლირა - 0.2271; აზერბაიჯანული მანათი - 1.8085; 1000 სომხური დრამი - 6.3953.	აიონი 18 იანვარსთვის აკონსტანტოპოლი საქართველო: ბარი - ლამ -10, ღლე +5 მთიანი რაიონები - ლამ -15, ღლე +2 დასავლეთი საქართველო: ბარი - ლამ -4, ღლე +8 მთიანი რაიონები - ლამ -13, ღლე +3 თბილისი: ლამ -6, ღლე +4	ღაბირაკით, მოგზავრით: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ-გვერდი: www.sakresp.ge
	8	საქართველოს რესპუბლიკა	